

თბილისის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების ცისცლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის ანგარიში

მონიტორინგის ანგარიში №4
პერიოდი: იანვარი - ივნისი, 2013
ოქტომბერი, 2013
თბილისი, საქართველო



მონიტორინგის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) გულუხვი თანადგომით. წარმოდგენილ კლევაზე პასუხისმგებელია საია და ის არ გამოხატავს USAID-ის, ამერიკის მთავრობისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მოსაზრებებს (EWMI).



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგი თანილისისა და ქუთაისის საქალაკო სასამართლოები

ანგარიში №4
(იანვარი-ივნისი, 2013)

მონიტორინგის პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკული ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა განვითარების აღმდეგად მოვალეობის შინაარსზე პასუხისმგებელის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსაფლეთ-დასაფლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი სალებაები



EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
მართლმადიდებელი დამოუკიდებლობისა
და სამართლებრივი გამოწეულების მიზანები

ავტორთა მიერ ანგარიში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ამერიკის მთავრობის პოზიციას.

საია მადლობას უხდის საქართველოს სასამართლო ხელისუფლებას სასამართლო მონიტორინგის პროექტის განხორციელების ხელშეწყობისათვის.

ავტორი: ეკა ხუციშვილი

რედაქტორი: ხათუნა ჭვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: ეკატერინე ფოჭხაძე
თაგარ გვარაშვილი

მონიტორინგის და კვლევის გარიაზ ნიკოლაშვილი
მომზადების პროცესში გიორგი კოპალოვის
მონაცილეობა მიიღეს საას ვლადიმერ გეგიშვილი
მონიტორება: ლევან ვეფხვაძე
ანა სიგუა



აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ქ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადატეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომიტეტიული მიზნით, ასოციაციის წერილობითი წებართვის გარეშე

Ց Ա Ե Վ Ա Ր Տ Ո

| | |
|--|----|
| Արության մեջ նշված է համապատասխան գլուխությունը | 5 |
| Տարբերակ 1. Համապատասխան գլուխությունը գործադրությունների մեջ | 5 |
| Տարբերակ 2. Համապատասխան գլուխությունը գործադրությունների մեջ | 6 |
| Տարբերակ 3. Համապատասխան գլուխությունը գործադրությունների մեջ | 7 |
| Տարբերակ 4. Համապատասխան գլուխությունը գործադրությունների մեջ | 7 |
| Տարբերակ 5. Համապատասխան գլուխությունը գործադրությունների մեջ | 8 |
| Տարբերակ 6. Համապատասխան գլուխությունը գործադրությունների մեջ | 10 |
| Տարբերակ 7. Համապատասխան գլուխությունը գործադրությունների մեջ | 11 |
| Տարբերակ 8. Համապատասխան գլուխությունը գործադրությունների մեջ | 12 |
| I. Տարբերակ 1. Համապատասխան գլուխությունը գործադրությունների մեջ | 12 |
| 1.1. Համապատասխան գլուխությունը գործադրությունների մեջ | 13 |
| 1.2. Համապատասխան գլուխությունը գործադրությունների մեջ | 15 |
| 1.2.1. Համապատասխան գլուխությունը գործադրությունների մեջ | 15 |
| 1.2.2. Համապատասխան գլուխությունը գործադրությունների մեջ | 23 |
| 1.2.3. Համապատասխան գլուխությունը գործադրությունների մեջ | 27 |
| 1.2.4. Համապատասխան գլուխությունը գործադրությունների մեջ | 27 |
| 1.2.5. Համապատասխան գլուխությունը գործադրությունների մեջ | 28 |
| 1.3. Համապատասխան գլուխությունը գործադրությունների մեջ | 29 |
| II. Տարբերակ 2. Համապատասխան գլուխությունը գործադրությունների մեջ | 31 |
| III. Տարբերակ 3. Համապատասխան գլուխությունը գործադրությունների մեջ | 34 |

4

| | |
|---|----|
| ბ. დაკვირვების შედეგები ცალკეული უფლების მიხედვით | 37 |
| I. მხარეთა თანასწორუფლებიანობის და შეჯიპრეტითობის პრინციპი | 37 |
| II. დაცვის უფლება | 39 |
| III. არასათანადო მოპყრობის აკრძალვა | 41 |
| IV. მოტივირებული (დასაბუთებული) გადაწყვეტის უფლება | 43 |
| V. საჯარო განხილვის უფლება | 45 |
| გ. სასამართლო პროცესის დროული უზრუნველყოფა | 50 |
| დასკვნა | 50 |
| რეკომენდაციები | 52 |
| დანართები | 53 |

**პროცესების მონიტორინგისას გამოვლენილი
ქირითადი ტენდენციები**
(იანვარი-ივნისი, 2013)

**პირველი წარდგენის სცენმები (აღკვეთის
დონისძიებები)**

- მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით (ივლისი-დეკემბერი, 2012):
 - 50%-დან 41%-მდე შემცირდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომელთათვისაც პროკურატურამ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის შეფარდება მოითხოვა.
 - 37%-დან 30%-მდე შემცირდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეფარდათ.
 - 63%-დან 69%-მდე გაიზარდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ გირა.
- მონიტორინგის განხორციელების ისტორიაში პირველად დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც სასამართლომ ბრალდებულს საერთოდ არ შეუფარდა აღკვეთის ღონისძიება. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში საქმე შეეხებოდა მაღალი თანამდებობის პირს გიორგი (გიგი) უგულავას (თბილისის მერი).
- წინა მონიტორინგის პერიოდების მსგავსად, სასამართლო თითქმის ყოველთვის იყენებდა მხოლოდ ორი სახის აღკვეთის ღონისძიებას: პატიმრობას და გირაოს. დაფიქსირდა მხოლოდ ორი გამონაკლიის: 1 შემთხვევა, როდესაც ბრალდებულს შეფარდა შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ და მე-2 შემთხვევა, როდესაც პირს სასამართლომ საერთოდ არ შეუფარდა აღკვეთის ღონისძიება.
- სასამართლომ უფრო ხშირად დაასაბუთა პატიმრობის შესახებ თავისი გადაწყვეტილებები (81%), ვიდრე – გირაოს შეფარდების შესახებ (51%).
- სასამართლო, აკტომატურად აღარ აკმაყოფილებდა რა პროკურატურის შუამდგომლობებს, აღკვეთის ღონისძიებას უფრო მეტი განსჯის შედეგად უფარდებდა ბრალდებულს:

- შემთხვევების 28%-ში, როდესაც პროკურატურამ პატიმ-რობა მოითხოვა, სასამართლომ შეუფარდა გირაო.
- შემთხვევების 51%-ში სასამართლომ იმაზე ნაკლები ოდე-ნობის გირაო შეუფარდა, ვიდრე პროკურატურამ მოითხ-ოვა.
- ორ გახმაურებულ საქმეში, როდესაც პროკურატურამ მოითხოვა გირაო, ერთ საქმეში სასამართლომ შეუფარდა ნაკლები ოდენობის გირაო, ხოლო მეორეში ბრალდებული დატოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე.
- აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, სასამართლო უფრო მეტ ლოიალობას იჩენდა მაღალი თანამდებობის წარმომად-გენელთა მიმართ და ნაკლებად ლოიალური იყო სხვა მიმ-დინარე საქმეებში ბრალდებულად ცნობილ პირებთან დაკავ-შირებით.
- მონიტორინგის წინა პერიოდების მსგავსად, სასამართლოებ-მა ვერ უზრუნველყოფს ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნება პირველი წარდგენის სხდომათა საქმეებზე. თუმცა, ქუთასის საქალაქო სასამართლოს მისაღებში მანდატურები ზეპირად აცხადებდნენ პირველი წარდგენის სხდომების შესახებ.

წინასასამართლო სცდომები

- წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, სასამართლოე-ბი, როგორც ჩანს, ისევ შემოიფარგლებოდნენ პროკურა-ტურის შუამდგომლობის დაკმაყოფილებით მტკიცებულება-თა წარდგენის შესახებ. მხოლოდ საქმეთა ერთ მეხუთედში წარადგინა დაცვის მხარემ შუამდგომლობა მტკიცებულება-თა წარდგენის შესახებ. დაცვის მხარე, უმეტეს შემთხვევაში, ან თავად არ წარადგენდა მტკიცებულებებს, ან/და ეთანხმე-ბოდა ბრალდების მხარის შუამდგომლობას მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ.
- მონიტორინგის წინა პერიოდების მსგავსად, არ დაფიქსირე-ბულა არც ერთი შემთხვევა, სადაც სასამართლო შეწყვეტდა სისხლისსამართლებრივ დევნას წინასასამართლო განხილვის სტადიაზე. სასამართლო ყოველთვის ადგენდა ალბათობის მაღალ ხარისხს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული.

საპროცესო შეთანხმების სხდომები

- წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, მოსამართლეები იყვნენ პასიურები საპროცესო შეთანხმების განხილვებისას და, პრაქტიკულად, ავტომატურად ამტკიცებდნენ ბრალ-დების მხარის შუამდგომლობას საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე.
- 57%-დან 50%-მდე შემცირდა იმ საპროცესო შეთანხმებების რაოდენობა, როდესაც ბრალდებულს ჯარიმა შეფარდა. 36%-მდე შემცირდა შეფარდებული ჯარიმის საშუალო ოდენობაც.
- წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, 1%-დან 7%-მდე გაიზარდა საპროცესო შეთანხმებისას საზოგადოებრივად სა-სარგებლობრივო შრომის გამოყენების შემთხვევები.

დაკვირვების სხვა მნიშვნელოვანი შედეგები

- მიუხედავად იმისა, რომ დაცვა კვლავ პასიური იყო სხვა საქ-მეებში, საპირისპირო ტენდენცია დაფიქსირდა გახმაურებულ საქმეებთან დაკავშირებით: აქ დაცვა გაცილებით მეტად აქტიურობდა, ვიდრე ბრალდების მხარე.
- დასრულებული 84 საქმიდან (69 – საპროცესო შეთანხმება და 15 – არსებითი განხილვა) ბრალდებული მხოლოდ ერთ შემთხვევაში გამართლდა.
- მონიტორინგის მიმდინარეობის პერიოდში, მოსამართლეები ბევრად უკეთესად განუმარტავდნენ ბრალდებულებს მათ მიმართ არასათანადო მოყυრობის დაუშვებლობასა და საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ უფლებებს.
- ჩხრეკისა და ამოღების შესახებ გამართული იმ 30 სხდომიდან, რომელთა მონიტორინგისაც საია ახორციელებდა, მხოლოდ ერთ შემთხვევაში გასცა სასამართლომ წინასწარი ნებართვა ჩხრეკის ჩატარებაზე. დანარჩენ 29 შემთხვევაში, სასამართლომ დააკანონა უკვე ჩატარებული ჩხრეკა. ეს ბადებს ეჭვს, რომ სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო არ ასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებებს. კერძოდ, თუ სათანადოდ არ იქნებოდა დასაბუთებული გადაუდებელი აუცილებლობა, ჩხრეკა და ამოღება არ უნდა ჩატარებინათ ან/და დაეკანონებინათ.

- მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო განხილვებზე დაცულია მოქალაქეთა დასწრების უფლება, შეინიშნება მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებიც.
- კვლავ პრობლემატურია სასამართლო განხილვების დროულად დაწყება. პირველი წარდგენის სხდომათა გამოკლებით, სხვა დანარჩენი სხდომების 39% 5 წუთზე მეტი დროის დაგვიანებით დაიწყო.

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) ახორციელებს სასამართლოს მონიტორინგის პროექტს 2011 წლის ოქტომბრიდან. საიამ თავდაპირველად განახორციელა მონიტორინგის პროექტი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. 2012 წლის 1 დეკემბერს საიამ გააფართოვა მონიტორინგის ფარგლები და ჩართო ქუთაისის საქალაქო სასამართლოც. ქუთაისისა და თბილისში გამოყენებულ იქნა მონიტორინგის იდენტური მეთოდები.¹

საიამ საზოგადოებას და დაინტერესებულ მხარეებს წარმოუდგინა მონიტორინგის პირველი და მეორე ანგარიშები (2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის მარტამდე) 2012 წლის ივნისში. მესამე ანგარიშის პრეზენტაცია ჩატარდა 2013 წლის აპრილში (მოიცავს პერიოდს – 2012 წლის ივლისიდან დეკემბრამდე).

ამჟამად წარმოგიდგენთ საიას სასამართლო პროცესზე მონიტორინგის მეოთხე ანგარიშს, რომელიც მოიცავს 2013 წლის იანვრიდან 2013 წლის ივლისამდე პერიოდს. წინა ანგარიშების მსგავსად, სისხლის სამართლის საქმის წარმოების მონიტორინგის მიზანი არის გამჭვირვალობის გაზრდა, სასამართლო დარბაზებში მიმდინარე რეალური პროცესების ასახვა და საზოგადოებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. საანგარიშო პერიოდში აღმოჩენილ ფაქტებთან ერთად, ეს ანგარიში ასევე წარმოადგენს საიას დაკვირვებების საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს, რომელიც ჯერ კიდევ მონიტორინგის პროექტის დაწყებიდან შემუშავდა და მიზნად ისახავს სისხლის სამართლის სისტემის სრულყოფა-გაუმჯობესებას.

¹ქუთაისში, საქმეთა მცირერაოდენობის გამო, მონიტორინგს ერთი დამკაირვებელი ახორციელებდა. თბილისის საქალაქო სასამართლოში მონიტორინგს სამი დამკაირვებელი ახორციელებდა. წინა საანგრიშო პერიოდის ანალიგიურად.

2013 წლის იანვრიდან ივნისამდე პერიოდში საიამ 600 სასამართლო პროცესის მონიტორინგი განახორციელა. მათ შორისაა:

- 99 – პირველი წარდგენის სხდომა
- 70 – წინა სასამართლო სხდომა
- 71 – საპროცესო შეთანხმების სხდომა
- 359 – არსებითი განხილვის სხდომა
- 1 – სააპელაციო განხილვის სხდომა

ამ 600 სხდომიდან, 371 თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩატარდა, 228 – ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო 1 – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ერთადერთი თვალში-საცემი სხვაობა თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში მიმდინარე პროცესებს შორის ეხებოდა პირველი განხილვების შესახებ ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნებას.²

მონიტორინგის შესახებ წინა ანგარიშში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აღნიშნავდა, რომ გარკვეული გაუმჯობესება შეინიშნებოდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში (ოქტომბერი-დეკემბერი, 2012). თუმცა, ეს გაუმჯობესება უმეტესად შეეხებოდა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმეებს. იმის გამო, რომ არჩევნების შემდეგ დიდი დრო არ იყო გასული და, თანაც, სასამართლოს ლოიალურობა ძირითადად მხოლოდ ყოფილი მაღლამზინოსნების მიმართ შეინიშნებოდა, ძნელი ალმოჩნდა იმის შეფასება, ზოგადად, გაუმჯობესდა თუ არა მდგომარეობა სასამართლოებში. სიხარულით უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე მონიტორინგის განმავლობაში გარკვეული წინსვლა მართლაც დაფიქსირდა და ეს მხოლოდ გახმაურებულ საქმეებს არ ეხებოდა. კერძოდ, მოსამართლეები, ნაცვლად იმისა, რომ ავტომატურად დაეკმაყოფილებინათ პროკურატურის შუამდგომლობები, უფრო მეტი განსჯის შედეგად უფარდებენ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიებას.

² ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სასამართლოს მოხელემ ზეპირად გამოაცხადა ბრალდებული სახელი, წაყენებული ბრალდება და მოსამართლის სახელი; თბილისის საქალაქო სასამართლოში პირველი მოსმენის შესახებ არანარი ინფორმაცია წინსწარ ხელმისაწვდომი არ ყოფილა.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშში მოცემული ყველა ინფორმაცია მიღებულია განხილვების უშუალო მონიტორინგის შედეგად. საიას დამკვირვებლები არ ესაუბრებოდნენ მხარეებს და არ განხილავდნენ საქმის მასალებს ან გადაწყვეტილებებს. თუმცა, წინა საანგარიშო პერიოდებისაგან განსხვავებით, საიამ ამჯერად გამოიხოვა სასამართლოს ცალკეული გადაწყვეტილებები იმის გასარკვევად, მიიღეს თუ არა მოსამართლეებმა გადაწყვეტილება პირველი განხილვისას ისეთ ფაქტებზე დაყრდნობით, რომლებიც ზეპირად გამოკვლეული არ ყოფილა. მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებასა და ანალიზზე საიას გამოცდილმა იურისტებმა და ანალიტიკოსებმა იმუშავეს.

გასული მონიტორინგების მსგავსად, საიას დამკვირვებლები იყენებდნენ კითხვარებს, რომლებიც კონკრეტულად მონიტორინგის პროექტისთვის მომზადდა. ამასთან, შეფასდა მონიტორების მიერ მოპოვებული ინფორმაცია და სასამართლოს საქმიანობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს კონსტიტუციისა და მოქმედ შიდა კანონმდებლობასთან.

კითხვარები მოიცავდა როგორც „დახურულ“ კითხვებს, რომლებზე ჰასუხიც შეიძლებოდა ყოფილიყო „კი“ ან „არა“, ასევე „ღია“ კითხვებს, რომლებიც მონიტორებს საშუალებს აძლევდა, ვრცლად აქციანათ და დაეფიქსირებინათ თავიანთი დაკვირვების შედეგები. ამასთან, წინა საანგარიშო პერიოდის ანალოგიურად, საიას დამკვირვებლები გარკვეულ შემთხვევებში ანარმონებდნენ ჩანაწერებს სასამართლო განხილვებისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შუამდგომლობების შესახებ, რაც უფრო მეტ სიცხადეს და კონტექსტს ანიჭებდა მათ მუშაობას. ამ პროცედურის საშუალებით, მონიტორებმა მოახერხეს ობიექტური, გაზომვადი მონაცემების შეგვივება და, იმავდროულად, სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების იდენტიფიცირება. ამ ანგარიშის დანართები, შესაძლოა, სრულად არ ასახავდეს ამ, გარკვეულწილად, სუბიექტურ ინფორმაციას, თუმცა, საიას დასკვნა მთლიანობაში ეფუძნება მონიტორების მიერ მოპოვებული სრული ინფორმაციის ანალიზს.

სისხლის სამართლის საქმის წარმოების სირთულის გათვალისწინებით, საიას დამკვირვებლები, როგორც წესი, ესხრებოდნენ ინდივიდუალურ სასამართლო პროცესებს და არა საქმის განხილვის ყველა სხდომას. თუმცა, იყო რამდენიმე გამონაკლისი. ე.წ. „გახმაურებულ“ საქმეებს, ასევე საქმეებს, რომლებიც საიას

დამკვირვებლების და ანალიტიკოსების მიერ წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებით განისაზღვრა, საიას მონიტორი განხილვის მთელ ეტაპზე დაესწრო. საია აკვირდებოდა ხუთ ასეთ საქმეს, რომლებიც შეირჩა უფლებათა უხეში დარღვევების, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის ან სხვა განსაკუთრებული ფაქტორის გათვალისწინებით. საია ასეთი საქმეებს სააპელაციო სასამართლოშიც დააკვირდება.

ანგარიშის სტრუქტურა

წინამდებარე ანგარიში, პირველ რიგში, მოიცავს ძირითად დასკვნებს სისხლის სამართლის საქმის სამ ეტაპთან დაკავშირებით: ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში, წინა-სასამართლო სხდომა და საპროცესო შეთანხმების დამტკიცების სხდომები.

გარდა ამისა, ანგარიშში წარმოდგენილია ბრალდებულის ძირითადი უფლებები სამართალნარმოების პროცესში. ესენია: საჯარო განხილვის უფლება, მხარეთა თანასწორობა, არსათანადო მოპყრობის აკრძალვა და მოტივირებული გადაწყვეტილების უფლება.

ანგარიშის დასკვნით ნაწილში განხილულია ძირითადი საკითხები, რომლებიც საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა.

საია იმედს გამოთქვამს, რომ მონიტორინგის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია შექმნის საქართველოს სასამართლოებში არსებული ვითარების შესახებ უფრო ნათელ სურათს და პოზიტიურ წევლილს შეიტანს სასამართლო რეფორმის შესახებ მიმდინარე დებატებში.

ა. დაკვირვების შედეგები საქმის განხილვის ეტაპების მიხედვით

I. პირველი წარდგენის სხდომები

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) 198-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე სასამართლო განიხილავს საკითხს, თუ რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, რათა ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა და ხელი არ შეეძალოს გამოძიებას მანამ, სანამ საქმეზე საბოლოო განაჩენი დადგება. აღკვეთის ღონისძიება უნდა იყოს დასაბუთებული, რაც იმას ნიშნავს, რომ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენება კანონით დადგენილ მიზნებს უნდა შეესაბამებოდეს.

სასამართლოს შეუძლია სსსკ-ით გათვალისწინებული რამდენიმე აღკვეთის ღონისძიებიდან ერთ-ერთის გამოყენება: პატიმრობა, გირაო, პირადი თავდებობა, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა.

სსსკ-ის 198.3 მუხლის თანახმად: აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას, პროკურორი ვალდებულია, დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა და სხვა ნაკლებად მკაფიო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობა. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების ტვირთი ბრალდების მხარეს აწევს. დაცვის მხარე არ არის ვალდებული, წარადგინოს მტკიცებულება აღკვეთის ღონისძიების საწინააღმდეგოდ. ამასთან, სსსკ-ის 198.5 მუხლის თანახმად: აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტილებას, სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს.

სასამართლოს გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული, რადგან საქმის წარმოების ყოველ ეტაპზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება სამართლიანი სასამართლოს უფლების ნაწილია, რაც გა-

რანტირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით³ და გამყარებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ევროპის სასამართლო) რიგი გადაწყვეტილებებით.⁴

1.1. ზოგადი ტენდენციები

საანგარიშო პერიოდში საია დააკვირდა 99 პირველი წარდგენის სხდომას 121 ბრალდებულის⁵ მიმართ (66 – თბილისის საქალაქო სასამართლოში, 33 – ქუთაისის საქალაქო სასამართლოში). მონიტორინგის წინა პერიოდებთან შედარებით, დაფიქსირდა ზოგიერთი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. თუმცა, სხვა შემაშფოთებელი პრაქტიკა უცვლელი დარჩა.

სასამართლოს მონიტორინგის პირველ და მეორე საანგარიშო პერიოდებში, სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის ყველა შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შესახებ, რაც მიუთითებს აშკარა ტენდენციურობაზე პროკურატურის სასარგებლოდ. მონიტორინგის მესამე პერიოდში ვითარება გარკვეულილობის შეიცვალა, განსაკუთრებით, 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, როდესაც სასამართლომ, ზოგიერთ შემთხვევაში, არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, დაცვის მხარის სასარგებლო ეს ტენდენცია შენარჩუნდა. სასამართლოები შედარებით აქტიური იყვნენ აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას და არ შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ ბრალდების მხარის მოთხოვნით.

მეორე პაზიტიური ტენდენცია იყო ბრალდების მხარის მიერ პატიმრობის ნაკლები სიხშირით მოთხოვნა. თუმცა, ბრალდების მხარის შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების შესახებ, როგორც წესი, აკლდა დასაბუთება. მაგალითად, გირაოს სახით თანხის მოთხოვნისას, პროკურატურა, როგორც წესი, არ წარმოადგენდა ინფორმაციას ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. თავის მხრიცა, ვერც დაცვის მხარე ვერ ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მას ეს ვალდებულება არ გააჩნია კანონმდებლობის თანახმად. მაგალითად, როდესაც განიხილება გირაოს შეფარდების შესახებ შუამდგომლობა, დაც-

³ მუხლი 194.2, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

⁴ E.g., *Hiro Balani v. Spain*, no. 18064/91, Para. 27 (9 December 1994).

⁵ ზოგიერთ პირველ წარდგენის მოსმენაზე ერთზე მეტი ბრალდებული მონაწილეობდა.

ვა წარმოადგენს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის შესახებ და არ ევალება შესაბამისი დოკუმენტების ან სხვა მტკიცებულების წარმოდგენა. თუმცა, დაცვის მხრე უფრო აქტიური იყო ე.წ. „გახმაურებული“ საქმეების განხილვისას, რომლებიც ყოფილ მაღალი თანამდებობის პირებს ეხებოდა (დაწვრილებით განხილულია ქვემოთ).

უცვლელი დარჩა პრაქტიკა აღკვეთის ღონისძიების სახეებთან დაკავშირებით. გასული საანგარიშო პერიოდების მსგავსად, ამჯერადაც, ძირითადად, ორი სახის აღკვეთის ღონისძიება გამოიყენებოდა: პატიმრობა და გირაო. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი, პროკურორები არასოდეს ითხოვდნენ სხვა სახის აღკვეთის ღონისძიებას, პატიმრობისა ან გირაოს გარდა; მეორე, მოსამართლები გულგრილად განიხილავდნენ აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობას, ასევე, არ ითვალისწინებდნენ წარდგენილი ბრალდების პროპორციულობას შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების მიმართ. მიუხედავად მათი ვალდებულებისა, მოსამართლეებს თითქმის არასდროს უცდითა სხვა აღკვეთის ღონისძიების გამოყენება; მესამე, დაცვის მხარის პასიური პოზიცია ამის ხელშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდა. დაცვის მხარე იშვიათად ითხოვდა ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას (121 ბრალდებულიდან 14 შემთხვევაში იქნა მოთხოვნილი ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიება; მათგან 13 – პირადი თავდებობა და 1 – სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა). აქედან სასამართლომ არც ერთხელ არ გაითვალისწინა დაცვის მხარის მოთხოვნა. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ წინა პერიოდში გამოთქმული კრიტიკის საბასუხოდ, რომ პატიმრობასა და გირაოს აკლდა დასაბუთება, სასამართლო უწყებამ განაცხადა, რომ აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას, მოსამართლები ეყრდნობიან არა მხოლოდ ზეპირად გამოკვლეულ, არამედ წერილობით ინფორმაციასაც, რომელიც სხდომაზე არ განხილულა. აქედან გამომდინარე, სასამართლო ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ საიას მიერ პირველი წარდგენის სხდომების დაკვირვება არ არის საკმარისი შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების პროპორციულობის დასადგენად.⁶

საია არ ეთანხმება აღნიშნულ პოზიციას. საპროცესო კანონის თანახმად, პირველი წარდგენის სხდომაზე მოსამართლის

⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემსაკუთარი პოზიცია გამოხატა საიას მონიტორინგის #3 ანგარიშის წარდგენისას, 2013 წლის 2 აპრილს.

მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ იმ ფაქტებსა და ინფორმაციას, რაც გამოკვლეულ იქნა ზეპირ სხდომაზე და ორმელიც ორივე მხარეს თანაბრად წარედგინა. საიამ სასამართლოებიდან გამოითხოვა წერილობითი გადაწყვეტილებები აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ, რათა გაერკვია, ეფუძნებოდა თუ არა ისინი მტკიცებულებებს, რომლებიც არ იყო გამოკვლეული ზეპირ სხდომაზე.⁷ სასამართლოს 24 წერილობითი გადაწყვეტილების შედარებამ საიას მონიტორინგის კითხვართან გამოავლინა, რომ არც ერთი მათგანი არ შეიცავდა მტკიცებულებას, რაც არ გამოკვლეულა ზეპირ სხდომაზე. ამდენად, სასამართლოს არგუმენტი დამაჯერებლობას მოკლებულია.

1.2. კონკრეტული აღკვეთის ღონისძიებები

1.2.1. გირაო

გირაო აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახეა, რომლის გამოყენების მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, ხელი არ შეეშალოს გამოძიებას. გირაოს შეფარდებისას ბრალდებული იხდის კონკრეტულ თანხას იმის სახაცვლოდ, რომ გათავისუფლდეს საქმეზე საბოლოო განაჩენის დადგომამდე. ბრალდებულს ან პირს, რომელმაც გადაიხადა გირაო მის სასარგებლოდ, გადახდილი თანხა სრულად უბრუნდება (იმ კურსის გათვალისწინებით, რაც არსებობდა გირაოს გადახდისას), ან ქონებას ყადაღა ეხსნება სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანიდან ერთი თვის ვადაში იმ პირობით, რომ ბრალდებულმა შეასრულა მისი ვალდებულება ზედმინევნით და გულწრფელად და მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება არ შეცვლილა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით.

როგორც აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახეობის – გირაოს მიმართ ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის გათვალისწინებულ კველა სავალდებულო მოთხოვნა. შედეგად,

⁷ საიამ შემთხვევითი შერჩევით მოითხოვა სასამართლოს გადაწყვეტილებები აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ მოწიტონგის მიმდინარე პერიოდში; ჯაში, თბილისის საქალაქო სასამართლოდან მოთხოვნილია 14 გადაწყვეტილება და ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან -10.

პროეურომა უნდა დაასაბუთოს აღკვეთის ღონისძიების შუამ-დგომლობა და სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სხვადასხ-ვა ფაქტორი, მათ შორის, ბრალდებულის პიროვნება, ფინანსუ-რი მდგომარეობა და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პროკურატურა არ წარადგენს ინ-ფორმაციას ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით. დაცვის მხარე არ არის ვალდებული, წარმოადგინოს ეს ინფორმაცია, რამდენად-აც ბრალდების მხარის მოვალეობაა, დაასაბუთოს მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებების მიზანშეწონილობა და პროპორცი-ულობა.⁸

აქედან გამომდინარე, გირაოს მიზანშეწონილობა დამოკიდებუ-ლია მისი აუცილებლობის დასაბუთებაზე.

გამოვლენილი შედეგები


საიას მონიტორინგმა, წინა პერიოდთან შედარებით, მნიშ-ვნელოვნად განსხვავებული შედეგები გამოავლინა გირაოსთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ამჯერად გირაო შეეფარდა უფრო მეტ ბრალდებულს, ვიდრე მონიტორინგის წინა პერიოდ-ში (წინა ანგარიშში – 63%, ხოლო მიმდინარეში – 69%). ზოგიერთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდება პატიმრობას მოითხოვდა, შეფარდებულ იქნა გირაო. თუმცა, სასამართლოებმა კვლავ ვერ შეძლეს, ადეკვატურად განეხილათ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა.

- 121 ბრალდებულიდან 69%-ს შეეფარდა გირაო, ხოლო 30%-ს – პატიმრობა. გარდა ამისა, ერთი ბრალდებულის მიმართ გა-მოყენებულ იქნა შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, ხოლო 1 ბრალდებული სასამართლომ დატო-ვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე.⁹ ქვემოთ მოცემული დია-გრამა გამოსახავს სიტუაციას მონიტორინგის მთელი პერიო-დის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან).

⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 200.2-ის თანახმად, გირაოს თანხა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმბიმით და განსასჯელის ფინანსური მდგომარეობით.

⁹ ეს ეხება თბილისის მერის - გიორგი უგულავას და ყოფილი თავდაცვის მინისტრის - დავით კეზერაშვილის გამაურებულ საქმეს (იხ. დეტალები ქვემოთ).


დიაგრამა №1



– გირაო, როგორც აღკვეთის ლონისძიება, გამოყენებულ იქნა საქმეების 28%-ში, სადაც პროკურატურამ მოითხოვა პატიმრობა (50 პირიდან 14 პირის მიმართ). 2012 წლის ოქტომბრამდე სასამართლო ყოველთვის აკმაყოფილებდა პროკურატურის შუამდგომლობას პატიმრობის შესახებ. მხოლოდ 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ შეიცვალა სასამართლოს პრაქტიკა, როდესაც, მიუხედავად ბრალდების მიერ პატიმრობის მოთხოვნისა, სასამართლომ დაიწყო აღკვეთის ლონისძიების სახით გირაოს შეფარდება.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან).

დიაგრამა №2



- პროკურატურის მიერ გირაოს მოთხოვნათა შემთხვევებიდან ნახევარში (71-დან – 36) გირაოს სახით შეფარდებული თანხის ოდენობა მოთხოვნილზე ნაკლები იყო. 33 შემთხვევაში – შეფარდებული თანხა მოთხოვნილის თანაბარი იყო. ორ დამატებით შემთხვევაში – სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების მოთხოვნა გირაოს შესახებ. კერძოდ, სასამართლომ არც ერთი სახის აღკვეთის ლონისძიება არ გამოიყენა ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ბრალდებულის მიმართ, ხოლო სხვა ბრალდებულს დააკისრა შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ.
- მონიტორინგის პერიოდში გირაოს სახით შეფარდებული მაქ-სიმალური თანხა შეადგენდა 35000 ლარს, ხოლო მინიმალური – 1000 ლარს.

ამჟამინდელი სტატისტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება იმის-გან, რაც იყო მონიტორინგის წინა პერიოდებში. კერძოდ, მოსამართლები ავტომატურად აღარ აქმაყოფილებენ ბრალდების მხარის შუამდგომლობას აღკვეთის ლონისძიების შესახებ და უფრო მეტი განსჯის შედეგად უფარდებენ ბრალდებულს აღკვე-თის ლონისძიებას.


მიუხედავად ამ პოზიტიური ცვლილებებისა, მნიშვნელოვანი ხარვეზები დაფიქსირდა გირაოს გამოყენებასთან დაკავშირებით.

პატიმრობის მსგავსად, გირაოს დაკისრება აღკვეთის ღონისძიების სახით უნდა იყოს პროპორციული და დასაბუთებული. ეს იმას ნიშნავს, რომ გირაო უნდა იყოს ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის და სავარაუდო დანაშაულის პროპორციული და დასაბუთებული. აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას, უნდა მოხდეს ყველა შესაბამისი გარემოების ანალიზი, რათა მოსამართლე დარწმუნდეს, რომ ბრალდებულს აქვს შესაძლებლობა, გადაიხადოს შეფარდებული გირაო. იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება შეფარდებული თანხის გადახდა, გირაო უნდა შეიცვალოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით – პატიმრობით, რაც იმავე სამართლებრივ მდგომარეობაში აყენებს ბრალდებულს.

აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შესახებ გამოტანილი 83 გადაწყვეტილებიდან, საიას აზრით, 41 გადაწყვეტილება (49%) იყო დაუსაბუთებელი, რაც არის უკეთესი შედეგი მონიტორინგის თავდაპირველ პერიოდებთან შედარებით,

თუმცა, უარესი – წინა პერიოდთან შედარებით.¹⁰ ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან).

დიაგრამა №3



ეს გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელი იყო შემდეგი მიზეზების გამო:

- მოსამართლეები გირაოს შეფარდების შესახებ პროკურატურის შუამდგრმლობის დაკმაყოფილების გადაწყვეტილებას იღებდნენ პროკურატურის მხრიდან სათანადო დასაბუთების ან ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის შესწავლის გარეშე. მეორე მხრივ, დაცვა, როგორც წესი, შემოიფარგლებოდა არასწორი სამართლებრივი არგუმენტით, რომ ბრალდებული არ აღიარებს დანაძალულს, ამიტომ მას არ უნდა შეეფარდოს აღკვეთის ღონისძიება; ან ბრალდებული, რომელსაც არ წარმოადგენდა ადვოკატი, უბრალოდ არ ეთანხმებოდა ბრალდების მხარის მოთხოვნას.

¹⁰ საიას გირაოს შესახებ გადაწყვეტილება დასაბუთებულად მიაჩნია, როდესაც: 1) გირაოს თანხა მისაღებია ორივე მხარისათვის (სამი საქმის გარდა, სადაც საქმეში მოცემული ფაქტები მცავიოდ შეუსაბამო იყო შეთანხმებულ გირაოსთან); 2) მოსამართლე დათანხმდა დაცვის მიერ შემოთავაზებულ გირაოს რაოდენობას; ან 3) გირაოს თანხა მხოლოდ მცირედით აღემატებოდა დაცვის მიერ შეთავაზებულ თანხას.

- ბრალდების მხარის მოთხოვნის მიუხედავად, პატიმრობის ნაცვლად გირაოს დაკისრების 14 საქმეში, მოსამართლეებს არ გამოუკვლევიათ ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა 10 შემთხვევაში. ერთ სხვა შემთხვევაში კი, მოსამართლე არაგონივრულად ლმობიერი აღმოჩნდა ბრალდებულის მიმართ.¹¹

ქვემოთ მოყვანილია დაუსაბუთებელი გირაოს მაგალითები:

- პირს ბრალი ედებოდა 260-ე მუხლით (2)¹² გათვალისწინებულ დანაშაულში. პროკურატურამ მოითხოვა პატიმრობა. დაცვამ კი, განაცხადა, რომ მას შეეძლო 5,000 ლარამდე გირაოს გადახდა. მოსამართლემ შეუფარდა 10,000 ლარის ოდენობის გორაო გარემოებათა ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე.
- ორი ბრალდებულის შემთხვევაში, პროკურატურამ ერთი ბრალდებულის მიმართ 5,000 ლარი, ხოლო მეორე ბრალდებულის მიმართ 7,000 ლარი გირაოს დაკისრება მოითხოვა. მოსამართლე დაინტერესდა, პროკურატურამ შეისწავლა თუ არა ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა, რის საპასუხოდაც ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ ამისთვის დრო არ ჰქონდა. მოსამართლემ თითოეულ ბრალდებულს შეუფარდა უფრო ნაკლები ოდენობის გირაო, ვიდრე მოთხოვნილი იყო (5000 ლარი 7000 ლარის ნაცვლად) და 3500 ლარი მოთხოვნილი 5000 ლარის ნაცვლად). მიუხედავად გირაოს თანხის შემცირებისა, ეს შემთხვევა იმის ნათელი შაგალითია, რომ სასამართლო ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე უფარდებს ბრალდებულს გირაოს.
- სხვა შემთხვევაში, ბრალდებამ თავად მოითხოვა პატიმრობის შეცვლა 5,000 ლარიანი გირაოთი, ვინაიდან პირს ბრალი ედებოდა მხოლოდ ქონებრივ დანაშაულში, ხოლო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საქმაოდ რთული იყო – მას სჭირდებოდა ქირურგიული ჩარევა სახის განგრენის გამო, რაც მას კვების და დალევის შესაძლებლობას უზღუდავდა. მიუხედავად იმისა, რომ დაცვა დათანხმდა გირაოს შემოთავაზებულ თანხას, მოსამართლეს ევალებოდა, გირაოს ისეთი თანხა განესაზღვრა, რის გადახდაც ბრალდებულს შეეძლო. ამის საპირისპიროდ, მოსამართლემ შეუფარდა გირაოს ის ოდენობა, რაც ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის არაპროპრიული იყო.

¹¹ იხ. ქვემოთ დავით კაკაბამის - ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის საქმე.

¹² ნარკოტიკული საშუალებების არალეგალური წარმოება, შემენა, შენახვა, ტრანსპორტირება და გადაცემა ან გაყიდვა.

ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, გახმაურებულ საქმეებში სასამართლოები არაგონივრულ ლოიალობას იჩენდნენ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას.

ვანის ყოფილ გამგებელს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრს, ბრალი ედებოდა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებაში, დამამძიმებელ გარემოებაში;¹³ პირის დევნაში სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით¹⁴ და სამსახურებრივ სიყალებებში.¹⁵ მას თავდაპირველად შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა, ხოლო დაცვამ მისი შეცვლა მოითხოვა 5,000 ლარის ოდენობის გირაოთი, ამტკიცებდა რა, რომ ზოგიერთი დანძაული, რაც მისი დაცვის ქვეშ მყოფს ედებოდა ბრალად, ხვდებოდა „ამნისტიის შესახებ კანონის“ მოქმედების ფარგლებში. პროკურორი არ დაეთანხმა და განაცხადა, რომ ბრალდებულს თავდაპირველად დაკისრებული ჰქონდა გირაო, როგორც აღკვეთის ღონისძიება, რის შემდეგაც ჩაიდინა ახალი დანაშაული. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მაინც დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, შეუცვალა რა ბრალდებულს პატიმრობა 7,000 ლარის გირაოთი. საია მიიჩნევს, რომ დაცვის შუამდგომლობა არ იყო დასაბუთებული საიმისოდ, რომ სასამართლოს იგი დაეკმაყოფილებინა.

მეორე საქმე, რომელიც ასევე აღნიშვნის ღირსია, არის თბილისის მერის, გიორგი უგულავას ბრალდების საქმე. უგულავას ბრალად ედება მძიმე დანაშაულები: დიდი ოდენობით თანხების მითვისება ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ჩადენილი მათ მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით (ორი ეპიზოდი)¹⁶ და ორგანიზებული ჯგუფის მიერ დიდი რაოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.¹⁷ მითვისების ერთ ეპიზოდში, უგულავას ბრალი ედება ყოფილ თავდაცვის მინისტრთან – დავით კეზერაშვილთან ერთად დანაშაულის ჩადენაში.

პროკურატურამ მოითხოვა 1,000,000 ლარის ოდენობის გირაო. დამატებითი ღონისძიების სახით, პროკურატურამ მოითხოვა, რომ სასამართლოს აეკრძალა ბრალდებულისთვის ქვეყნის და-

¹³ მუხლი 118.3, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

¹⁴ იქვე 156.(2) (ბ).

¹⁵ იქვე მუხლი 341.

¹⁶ იქვე, მუხლი 182(2)(დ)(3)(ა,ბ); 182(2)(დ)(3)(ბ); 194(3)(ა,ბ).

¹⁷ იქვე, მუხლი 194(3)(ა, ბ).

ტოვება და დაევალდებულებინა იგი კვირაში ერთხელ გამოცხა-დებულიყო საგამოძიებო ორგანოში. ბრალდების მხარის მოთხოვნები ეფუძნებოდა შემდეგ არგუმენტებს: 1) დანაშაულების სიმძიმე, რომელიც ისჯება მხოლოდ თავისუფლების აღკვეთით, არსებობს გაქცევის მოტივაცია; 2) პროპორციულობა, რადგან განსასჯელის ხელფასმა ხუთი წლის განმავლობაში შეადგინა 500,000 ლარი, მის მამას საკუთრებაში ჰქონდა მიწა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ბრალდებულის პირადი საჭიროებისთვის დაიხარჯა 10 მილიონი ლარი; 3) ბრალდებული რამდენჯერმე არ გამოცხადდა საგამოძიებო ორგანოში, მიუხედავად უწყების მიღებისა და, ასევე, დაკითხვისას პოლიციას მიაწოდა არაზუსტი ინფორმაცია.

დაცვამ მოითხოვა, რომ სასამართლოს ან აღკვეთის ღონისძიების გარეშე დაეტოვებინა ან შეეფარდებინა პირადი თავდებობა პარლამენტის 34 და თბილისის საკურებულოს 24 წევრის ხელმოწერით. დაცვამ ხაზი გაუსვა, რომ მოთხოვნილი გირაოს თანხა არ შეესაბამებოდა ბრალდებულის ფინანსურ მდგომარეობას და მის, როგორც ხუთი არასრულწლოვანი ბავშვის მარჩენლის როლს. ბრალდებულმა ასევე განაცხადა, რომ ვერ დათანხმდებოდა ქვეყნიდან გაუსვლელობის პირობას, მისი თანამდებობისა და საზღვარგარეთ დაგეგმილი ვიზიტების გამო.

ამ არგუმენტების ჰასუხად, სასამართლომ ჰკითხა ბრალდებას ბრალდებულის ფინანსური სტატუსის შესახებ და მიიღო მხოლოდ პროკურორის მიერ მოყვანილი ინფორმაცია. პროკურატურამ ასევე განაცხადა, რომ პირადი გარანტია არ უნდა ყოფილიყო მიღებული, როგორც აღკვეთის ღონისძიება, რადგან პოტენციური გარანტიორები იყვნენ იმავე პოლიტიკური პარტიის წევრები, რომელსაც ბრალდებულიც ეკუთვნოდა და ბრალდებებს, ამ შემთხვევაში, შესაძლოა, გავლენა მოეხდინა მათზეც.

სასამართლომ ბრალდებული დატოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე.

საია მიიჩნევს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება აბსოლუტურად არაადეკვატურია, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მხარის შუამდგომლობა არ იყო გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებებით ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ბრალდებულს სერიოზული ბრალდებები აქვს წაყენებული, რაც მკაცრ სასჯელს გულისხმობს. გარდა ამისა, როგორც მაღალჩინოსანმა, ბრალდებულმა შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გამოძიების მსვლელობაზე. ამ შემთხვევა-

ში, შესაბამისი სახის აღკვეთის ღონისძიება უნდა გამოყენებინა სასამართლოს, რაზე უარის თქმაც სასამართლოს ტენდენციურობაზე მიუთითებს.

1.2.2. პატიმრობა

პატიმრობა წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთას, შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების აღნიშნული ზომის გამოყენება, ბრალის საბოლოოდ დამტკიცებამდე, პიროვნების თავისუფლების უფლებასთან კავშირში უნდა განიხილებოდეს, რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა.

თავისუფლების უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით¹⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით¹⁹ და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.²⁰

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების თანახმად, ბრალდებულის დაპატიმრების საფუძველი ბრალის საბოლოო დამტკიცებამდე არის: ა) პირის მიმალვის საფრთხე; ბ) მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელშეშლის საფრთხე; გ) ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება. პატიმრობის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებები არაეფექტურია. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR)²¹ და ეროვნული საპროცესო კანონმდებლობის²² თანახმად, სასამართლო ვალდებულია, მხარეთა შუამდგომლობის შემთხვევაში, პატიმრობის კანონიერება პერიოდულად გადასინჯოს, ხოლო ასეთი შუამდგომლობის განხილვაზე უარი თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ჭრილში განიხილება.

¹⁸ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის 1-ლი და მ-2 ნაწილები.

¹⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 5.1.

²⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 205.(1).

²¹ *Jēcius v. Lithuania; The Right to Liberty and Security of the Person, A Guide to the Implementation of Article 5 of the European Convention on Human Rights, Monica Macovei, Human Rights Handbooks, No.5, Council of Europe, p.60-61.*

²² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 206.


გამოვლენილი შედეგები

დადებითი ტენდენციები დაფიქსირდა ამ პერიოდში პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიმართულებით.

ჯერ ერთი, პროკურატურა შედარებით იშვიათად ითხოვდა პატიმრობის შეფარდებას, ვიდრე წინა საანგარიშო პერიოდში და მეორე, ბრალდების მხარის შუამდგომლობები პატიმრობის თაობაზე უფრო მეტად იყო დასაბუთებული. ამასთან, როცა ბრალდების მხარის შუამდგომლობა პატიმრობის შეფარდების თაობაზე არ იყო დასაბუთებული, სასამართლო უფრო იშვიათად აკმაყოფილებდა მას.²³


პირველ განხილვაზე წარმოდგენილი 121 ბრალდებულიდან, პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა მხოლოდ 50 (41%) შემთხვევაში. აქედან სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა მხოლოდ 36 (72%) შემთხვევაში. ევემორ მოყვანილი დიაგრამები ასახავს ამ მიმართულებით მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში გამოვლენილ შედეგებს:

დიაგრამა №4



²³ აღნიშნული საიას მიერ პირველად დაფიქსირდა მინიტორინგის წინა პერიოდში, 2011 წლის ოქტომბრიდან, როდესაც საიამ დაიწყო სასამართლო სხდომების დაკვირვება. 2012 წლის ოქტომბრამდე მსგავსი შემთხვევა, როცა სასამართლო არ დაეთანხმა პროკურატურის შუამდგომლობას პატიმრობის შეფარდების შესახებ, საიას არ დაუფიქსირება.

დიაგრამა №5




პატიმრობის შეფარდების 36 შემთხვევიდან, საიამ მხოლოდ შვიდი (19%) მიიჩნია დაუსაბუთებლად, როდესაც პროკურატურას არ ჰქონდა საკმარისი დასაბუთება პატიმრობის შეფარდებისთვის.

მაგალითად, ერთ შემთხვევაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა იმ პირის მიმართ პატიმრობის შეფარდების შესახებ, რომელსაც ბრალად ქურდობა ედებოდა. პროკურატურამ განაცხადა, რომ ბრალდებული ამნისტიით გათავისუფლდა და ახალი დანაშაულის ჩადენის შემდეგ გაქცევა სცადა. პროკურატურას არ წარმოუდგენია ამ გარემოების დასადასტურებლად რაიმე მტკიცებულება. ბრალდებული არ დაეთანხმა პროკურორის შუამდგომლობას. სასამართლომ მაინც შეუფარდა მას პატიმრობა.

მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული ციფრი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა საანგარიშო პერიოდების შედეგებისაგან. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მონიტორინგის მთელი პერიოდის შედეგებს:

დიაგრამა №6



პატიმრობის შესახებ შვიდი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებიდან ერთ-ერთი, მსგავს შემთხვევებში, სასამართლოს მხრიდან არაერთგვაროვან მიღვომაზე მიანიშნებს. კერძოდ, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა პატიმრობის გამოყენების შესახებ მიუხედავად იმისა, რომ იმავე სახის აღკვეთის ღონისძიება ბრალდებულს უკვე შეფარდებული ჰქონდა სხვა ბრალდების გამო და იგი ამტკიცებდა, რომ არ არსებობდა დამატებითი აღკვეთის ღონისძიების საჭიროება. ამისავან განსხვავებით, მონიტორინგის წინა პერიოდში, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ უარყო ბრალდების მხარის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსის (გიორგი კალანდაძე) მიმართ, რა დროსაც აღნიშნა, რომ არ არსებობდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, რადგან მას მსგავსი სახის აღკვეთის ღონისძიება უკვე ჰქონდა შეფარდებული სხვა ბრალდებითან დაკავშირებით.

საია მიიჩნევს, რომ სასამართლოში უნდა ჩამოყალიბდეს ერთიანი მიღვომა მსგავს გარემოებებში აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას. აუცილებელია, მართლმსაჯულება იყოს თანმიმდევრული და ერთგვაროვანი, რათა გამოირიცხოს შერჩევითი მართლმსაჯულება.

1.2.3. პირადი თავდებობა

მონიტორინგის მიმდინარეობის პერიოდში გამართული პირველი წარდგენის სხდომებზე დაცვის მხრიდან პირადი თავდებობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების შეთავაზება დაფიქსირდა 121 ბრალდებულიდან 13-თან მიმართებით.²⁴

ადგილი ჰქონდა ასევე შემთხვევას, როცა, საიას მოსაზრებით, შესაძლებელი იყო პირადი თავდებობის გამოყენება, თუმცა, იგი არ იქნა გამოყენებული, კერძოდ: 2 ქალბატონს, 2 მამაკაცთან თანამონაწილეობით, ბრალი ედებოდა ქურდობაში. დაცვამ წარმოადგინა დოკუმენტი, რომლითაც მტკიცდებოდა, რომ ორივე ქალი იყო სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფ პირთა სიაში და, ამის გამო, მათ არ შეეძლოთ, პროკურატურის მიერ მოთხოვნილი 5,000 ლარიანი გირაოს გადახდა. ალტერნატივის სახით, დაცვამ იშუამდგომლა გირაოს სახით 1000 ლარის დაკისრების თაობაზე, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ ბრალდებულთა კუთვნილებაში იყო სახლი, სადაც ისნი ცხოვრობდნენ. შესაბამისად, აღნიშნული გარემოება საკმარისად მიიჩნია იმისთვის, რომ მათთვის 1000 ლარიანი გირაო დაეკისრებინა.

საია მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არ შეიძლება ჩაითვალოს პროპორციულად. კერძოდ, მოსამართლეს, საკუთარი ინიციატივით, შეეძლო გამოერკვია პირადი თავდებობის შესაძლებლობა და გადაწყვეტილება ამის შემდეგ მიეღო. ეს შემთხვევა საუკეთესოდ აღნერს სისხლის სამართალწარმოებაში ალტერნატიული ზომების გამოყენების ამოქმედების საჭიროებას.

1.2.4. შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ

შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღკვეთის ღონისძიების სახით, თუ პირს ბრალად ედება დანაშაული, რომელიც არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთ ნელზე მეტი ვადით.²⁵ მონიტორინგის პერიოდში, კანონმდებლობიდან გამომდინარე, 13 ბრალდებულის მიმართ შესაძლებელი იყო ამ სახის აღკვეთის

²⁴ 13 -დან 6 შემთხვევა შეეხებოდა გახმაურებულ საქმეებს.

²⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 202.

ლონისძიების გამოყენება, თუმცა, სასამართლომ ის მხოლოდ ერთ შემთხვევაში გამოიყენა.²⁶

საინტერესოა, რომ ორ მსგავს შემთხვევაში, რომლებიც ეხებოდა მცირე რაოდენობის ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებას, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება, როგორც აღკვეთის ლონისძიების სახე, ერთ შემთხვევაში გამოყენებულ იქნა, ხოლო მეორეში – არა.

ერთ შემთხვევაში, ბრალდებული არ დაეთანხმა ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილ 1000 ლარის ოდენობის გირაოს და მიუთითა, რომ ცხოვრობდა უკიდურეს სილარიბები. ბრალდებულს არ ჰყავდა ადვოკატი. მოსამართლემ, ამ შემთხვევაში, სათანადო აქტიურობა გამოავლინა. მან განუმარტა ბრალდებულს, რომ შესაძლებელი იყო ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ლონისძიების გამოყენება. დარწმუნდა, რომ შეუძლებელი იყო პირადი თავდებობის გამოყენება. შედეგად, შეუფარდა შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ.

მეორე შემთხვევაში, ბრალდებული არ დაეთანხმა ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილ გირაოს 2,000 ლარის ოდენობით, მიუთითა რა, რომ იგი ცხოვრობდა ავადმყოფ მამასთან ერთად და მისი ოჯახი თავს ირჩენდა მამის პენსიით. მოსამართლემ ჰქითხა ბრალდებულს: „როგორ ფიქრობთ, უნდა გამოვიყენოთ რაიმე სახის აღკვეთის ლონისძიება თუ არა, რას იტყვით?“ ეს მიანიშნებს, რომ მოსამართლე გირაოს ერთადერთ შესაძლებელ ზომად განიხილავდა და არ სურდა რაიმე აღტერნატივის განხილვა. მოსამართლემ ბრალდებულს შეუფარდა 1000 ლარიანი გირაო, რომელიც საიას გადაჭარბებულად მიაჩნია.

1.2.5. სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა

სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა აღკვეთის ლონისძიების სახეა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამხედრო მოსამსახურის მიმართ.²⁷

²⁶ აღნიშნული ლონისძიების გამოყენება სასამართლოს მიერ მოხდა პირველად, საიას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში.

²⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 204.

აღნიშნული მონიტორინგის პერიოდში, საიამ დააფიქსირა პირველი შემთხვევა, როდესაც ბრალდებულის მიერ ეს პრევენციული ღონისძიება იქნა მოთხოვნილი. ბრალდებული იყო სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც ბრალად ედებოდა ქურდობა დამამძიმებელი გარემოებებით. პროკურატურამ მოითხოვა პატიმრობა, ხოლო დაცვამ წამოაყენა სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობის შეუძლებელობა. მოსამართლემ გამოარკვია, რომ დაცვას არ ჰქონდა წარმოდგენილი შესაბამისი სამხედრო ხელმძღვანელობის თანხმობა ბრალდებულის მიმართ ზედამხედველობის განხორციელების შესახებ და ამის გამო ბრალდებულს 10,000 ლარის ოდენობის გირაო შეუფარდა.

საია მიიჩნევს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყო პროპორციული. აღსანიშნავია, რომ მოსამართლემ გამოარკვია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა – იგი ილებდა თვეში მხოლოდ 700 ლარს; ამასთან, ბრალდებულმა განაცხადა, რომ იგი ფლობდა უძრავ ქონებას სოფელში, თუმცა, მოსამართლეს არ დაუსვამს კითხვა ამ უძრავი ქონების ღირებულების შესახებ. გარდა ამისა, ბრალდებულის მიერ სასამართლოსათვის სამხედრო ხელმძღვანელობის თანხმობის წარუდგენლობა არ არის სამართლებრივა დაბრკოლება ამ პრევენციული ღონისძიების გამოსაყენებლად,²⁸ რაც იქნებოდა პროპორციული ზომა ამ შემთხვევაში.

1.3. საქმეთა განხილვის წინასწარი გამოქვეყნება

პირველი წარდგენის სხდომათა მონიტორინგმა ასევე დაადასტურა არსებული პროცედურული პროცედურები, რომლებიც ბრალდებულს ართმევს საჯარო განხილვის უფლებას, რაც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით,²⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით³⁰ და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.³¹

იმისათვის, რომ ეს უფლება ეფუძნულად გამოიყენებოდეს, საქმარისი არ არის, რომ საზოგადოებას მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის განხილვაზე დასწრების უფლება ჰქონდეს. საზო-

²⁸ იქვე, მუხლი 204.

²⁹ საქართველოს კონსიტიტუცია, მუხლი 85.

³⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 6.1.

³¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 10.

გადოებას ასევე აქვს უფლება, წინასწარ იყოს ინფორმირებული საქმის მოსმენის შესახებ, რათა ჰქონდეს სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, საჯარო განხილვის უფლება სასამართლოს ავალდებულებს, წინასწარ გამოაქვეყნოს პირველი მოსმენის დრო და ადგილი, ბრალდებულის სრული სახელი და გვარი, ასევე, მუხლები, რომელთა მიხედვითაც ბრალი აქვს წაყენებული.

გამოვლენილი შედეგები:

იმ 99 პირველი წარდგენის სხდომიდან, რომელთა მონიტორინგ-საც საია ახორციელებდა, არც ერთის შესახებ არ გამოქვეყნებულა ინფორმაცია წინასწარ (33 სხდომა გაიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, 66 – თბილისის საქალაქო სასამართლოში).

პირველი წარდგენის სხდომათა შესახებ ინფორმაციის გამოუქვეყნებლობის პრობლემა, 2011 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, ანუ მას შემდეგ, რაც მონიტორინგის განხორციელება დაიწყო, საიას ყველა ანგარიშში აისახა. საკითხზე ყურადღების გამახვილების მიუხედავად, სიტუაცია უცვლელი რჩება. სასამართლო სისტემის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ეს ხდებოდა ტექნიკური შეზღუდვების გამო, რაც დაკავშირებული იყო იმასთან, რომ პირველი წარდგენის სხდომები ტარდებოდა ბრალდებულის დაკავებიდან 24 საათის განმავლობაში. ამასთან, გამოთქვამდნენ მზადყოფნას აღნიშნული ტექნიკური პრობლემების მოგვარების კუთხით. თუმცა, ამის მიუხედავად, თბილისის საქალაქო სასამართლოში არაფერი შეცვლილა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სიტუაცია გარკვეულ-წილად უკეთესია. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლო არ აქვეყნებს მოსმენის თარიღებს ელექტრონულ მონიტორებზე, როგორც ეს თბილისის საქალაქო სასამართლოში ხდება, მანდატური აცხადებს ინფორმაციას სასამართლოს მისაღებში განხილვის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე და აცნობებს დაინტერესებულ პირებს ჩანიშნული სხდომის ადგილის და ბრალდებულის ვინაობის შესახებ. თუმცა, იგი არ აცხადებს წაყენებულ ბრალს.

საია მიიჩნევს, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში არსებული გამოცხადების მეთოდი არ არის სრულყოფილი, რადგან პირს, რომელსაც სურს პირველი წარდგენის სხდომაზე დასწრება, არ

შეუძლია, დაადგინოს დრო და ადგილი გონივრული ვადით ადრე. უფრო მეტიც, საზოგადოებას არ ეცნობება ბრალდების შესახებ. თუმცა, საია მიიჩნევს, რომ ეს არის გონივრული დროებითი ზომა, სანამ სასამართლოს ადმინისტრაცია გადაწყვეტს ტექნიკურ საკითხებს.

II. წინასასამართლო სხდომები

წინასასამართლო სხდომაზე სასამართლო არკვევს იმ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს, რომლებიც ძირითად სხდომაზე განიხილება. ეს ეტაპი უკიდურესად მნიშვნელოვანია, რადგანაც მხოლოდ დასაშვებ მტკიცებულებაზე დაყრდნობით გამოაქვს მოსამართლეს განაჩენი საქმის არსებითი განხილვის შედეგად. გარდა ამისა, ამ ეტაპზევე მიიღება გადაწყვეტილება, სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდეს თუ გაგრძელდეს საქმის განხილვა არსებითად.³²

სასამართლოს გადაწყვეტილება წინასასამართლო სხდომაზე დაყრდნობული შუამდგომლობის მიმართ უნდა იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი ორივე მხარის მიმართ. ბრალდებულის უფლებას მიუკერძოებელ სამართალნარმოებაზე აღიარებს საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი და გარანტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

მიუხედავად იმისა, რომ წინასასამართლო სხდომები, როგორც წესი, ეხება მტკიცებულებათა დასაშვებობას, მხარეებს ასევე შეუძლიათ დააყენონ სხვა შუამდგომლობებიც.

გამოვლენილი შედეგები

მონიტორინგის მიმდინარე პერიოდის დაკვირვების შედეგები თითქმის ემთხვევა წინა პერიოდში გამოვლენილ შედეგებს. უმეტესწილად, სასამართლო ეთანხმება ბრალდების მხარის შუამდგომლობას ნარდგენილი მტკიცებულებების დაშვების შესახებ, ხოლო დაცვა, ძირითადად, ეთანხმება ბრალდების მხარის შუა-

³² სასამართლო უნდა შეწყვიტოს სამართლებრივი დევნა, თუ ის მაღალი აღბათობით დაადგენს, რომ პროცურატურის მიერ წრმოდგენილი მტკიცებულებით არ დგინდება ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა.

მდგომლობებს. წინააღმდეგობის შემთხვევაში, დაცვის მხარის არვუმენტები არარელევანტურია, მაგალითად, ის, რომ ბრალდებულს არ ჩაუდენია დანაშაული და რომ სასამართლომ ამიტომ არ უნდა მიიღოს ესა თუ ის ინფორმაცია, როგორც დასაშვები მტკიცებულება.³³ თუმცა, დაცვა აქტიური იყო მაღალჩინოსნების საქმეებში, იგი წარადგენდა მტკიცებულებებს და, ასევე, მოითხოვდა ბრალდების მხარის მიერ წარადგენილი ზოგიერთი მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას.³⁴

ერთი პირის მიმართ მრავალეპიზოდიანი ბრალდების პირობებში, მოსალოდნელია, რომ წარდგენილი იქნება გარკვეული მტკიცებულებები მაინც. თუმცა, მონიტორინგისას გამოვლინდა ერთი შემთხვევა, როდესაც დაცვა იყო უაღრესად პასიური. კერძოდ, მრავალეპიზოდიანი ბრალდების ერთ შემთხვევაში, როდესაც პირს ბრალი ედებოდა მკვლელობის მცდელობაში, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენასა და ჯანმრთელობის დაუდგენელ დაზიანებაში, დაცვამ ვერ წარმოადგინა რაიმე სახის მტკიცებულება.

მონიტორინგის წინა პერიოდის მსგავსად, არ დაფიქსირდა ერთი შემთხვევაც კი, სადაც სასამართლომ შეწყვიტა დევნა წინასასამართლო განხილვის შედეგად, რადგან მაღალი ალბათობით ყოველთვის რწმუნდებოდა, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული.

წინასასამართლო სხდომებზე დაკვირვების შედეგად, გამოვლინდა შემდეგი საინტერესო ტენდენციები:

- 70 წინასასამართლო სხდომიდან თორმეტი გადაიდო. დარჩენილ 58 შემთხვევაში, სასამართლო სრულად დაეთანხმა ბრალდების მხარის ყველა შუამდგომლობას წარმოდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ (გარდა სამი გახმაურებული საქმისა), მიუხედავად იმისა, რომ დაცვამ გააპროტესტა შვიდი შუამდგომლობა. წინა სამ პერიოდში, ჯამურად, სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის

³³ საპროცედურო კანონმდებლობით, მხარეები უნდა მიუთითებდნენ მხოლოდ მტკიცებულებათა მოპოვების კანონიერებაზე, რათა სასამართლომ გადაწყვიტოს მათი დასაშვებობის საკითხი.

³⁴ თბილისი მერის - გიორგი უგულავას - და ყოფილი თავდაცვის მინისტრის - დავით კეზერაშვილის - საქმეში დაცვამ წარადგინა მტკიცებულებათა 22 ტომი და მოითხოვ 100-200 მოწმის დაკითხვის უფლება.

ყველა 191 შუამდგომლობა, მიუხედავად იმისა, რომ დაცვამ გააპროტესტა 23 მათგანი.

- შვიდიდან სამ შემთხვევაში, როდესაც დაცვამ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები გააპროტესტა, სასამართლომ ნაწილობრივ დაუშვებლად ცნო პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები. სამივე იყო გახმაურებული საქმე (გიორგი ქელბაქიანი),³⁵ გიორგი კალანდაძე³⁶ და გიორგი უგულავა³⁷).
- დაცვამ მტკიცებულებათა წარდგენის თაობაზე შუამდგომლობა წარადგინა 58-დან მხოლოდ 12 შემთხვევაში (21%); აქედან ოთხი იყო გახმაურებული საქმე. 12 შემთხვევიდან ხუთში პროკურატურა ნაწილობრივ დაეთანხმა ამ შუამდგომლობებს. სასამართლო სრულად დაეთანხმა დაცვის ცხრა შუამდგომლობას მტკიცებულების წარდგენის შესახებ და ნაწილობრივ გაიზიარა სამი შუამდგომლობა. დაცვის მხარის შუამდგომლობას მტკიცებულების წარდგენის შესახებ ყველა, ოთხ გახმაურებულ საქმეზე პროკურატურა ნაწილობრივ დაეთანხმა და ნაწილობრივ დააკმაყოფილა სასამართლომაც.
- 58 წინასასამართლო სხდომიდან მხოლოდ 8-ზე დადგა სხვა სახის შუამდგომლობა მტკიცებულების წარდგენის შუამდგომლობებთან ერთად (ამათგან ორი იყო გახმაურებული საქმეზე); ყველა ეს შუამდგომლობა დაცვის მხარემ წარადგინა. სამი შუამდგომლობა ეხებოდა აღკვეთის ღონისძიების შეცვლას, სამი – გაუქმებას, ერთი ეხებოდა სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას ამნისტიის კანონის გამო და ერთიც – სხდომის აუდიო და ვიდეო ჩანერას. პროკურატურა არც ერთ შუამდგომლობას არ დაეთანხმა. სასამართლომ მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა აუდიო-ვიდეო ჩანერის შესახებ შუამდგომლობა ახალიას საქმეში. საიდა მიიჩნევს, რომ ეს გადაწყვეტილებები გონივრული იყო.

³⁵ გეგი ქელბაქიანი ცნობილია, როგორც თბილისის მერის, გიორგი უგულავას, ახლო მეგობარი; მისი კომპანია აწარმოებდა სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებს თბილისის მთავრობის დაკვეთით.

³⁶ გიორგი კალანდაძე – საქართველოს შეიარაღებული მალების გაერთიანებული შტაბის უფროსი.

³⁷ გიორგი უგულავა – თბილისის მერი.

III. საპროცესო შეთანხმების სხდომები

საპროცესო შეთანხმება სამართალწარმოების დაჩქარებული სახეა, სადაც დაცვასა და ბრალდებას შორის ფორმდება შეთანხმება ბრალსა ან სასჯელზე, ბრალის აღიარებით, ან მის გარეშე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის თანაბად, მოსამართლე ამონმებს, არის თუ არა ბრალდებულისთვის წაყენებული ბრალდებები დასაბუთებული და არის თუ არა პროკურატურის შუამდგომლობაში წარმოდგენილი შეთანხმებული სასჯელი სამართლიანი.

იმისათვის, რომ უზრუნველყოს სასჯელის სამართლიანობა, მოსამართლე უნდა განიხილოს არსებული გარემოებები, ბრალდებულის ინდივიდუალური მახსიათებლები, დანაშაულის ჩადენის გარემოებები და შეთანხმებული სასჯელი.³⁸ კანონი არ აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა მოხდეს სასჯელის სამართლიანობის უზრუნველყოფა. თუმცა, სასჯელის შეფარდების ზოგადი პრინციპების თანახმად, მაგალითად, ჯარიმის შეფარდებისას, მოსამართლეს შეუძლია გამოარკვიოს: როგორია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა; შეუძლია თუ არა მას ჯარიმის გადახდა; არის თუ არა ჯარიმის თანხა მიყენებული ზიანის შესაბამისი; გარემოებები, რომელმაც დანაშაული იქნა ჩადენილი და მოსალოდნელი სასჯელის ზომა. გარდა ამისა, კანონის თანახმად, თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ საპროცესო შეთანხმება არ აკმაყოფილებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს, მოსამართლეს შეუძლია, მხარეებს შესთავაზოს საპროცესო შეთანხმება შეცვლილი პირობებით.³⁹ ეს ანიჭებს მოსამართლეს შეზღუდულ, მაგრამ გარკვეულ ბერკეტს, რომ ზეგავლენა მოახდინოს სასჯელის სამართლიანობაზე.

გამოვლენილი შედეგები:

მსგავსად სასამართლო მონიტორინგის წინა პერიოდებისა, მიმდინარე საანგარიშმ პერიოდშიც საპროცესო შეთანხმების განხილვისას სასამართლო კვლავ პასიური იყო. საკითხის განხილვისას მოსამართლე იზღუდებოდა მისი საქმიანობის პროცედუ-

³⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 53.3.

³⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 213.5.

რული ვალდებულებებით და ბრალდებულისთვის ფორმალური კითხვის დასმით იმის შესახებ, ეთანხმება თუ არა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას. საიას მონიტორებმა დააფიქსირეს მხოლოდ სამი შემთხვევა (რომლებიც ქვემოთ არის განხილული), სადაც მოსამართლემ დასვა დამატებითი შეკითხვები იმის განსასაზღვრად, იყო თუ არა სასჯელი სამართლიანი.

მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით, იმ საპროცესო შეთანხმებების პროცენტული წილი, როდესაც ბრალდებულს ჯარიმა დაეკისრა, მნიშვნელოვნად შემცირდა. წინა პერიოდში (ივლისი-დეკემბერი, 2012) ბრალდებულთა 57%-მა (82-დან 47) საპროცესო შეთანხმებების საფუძველზე გადაიხადა ჯარიმა; მიმდინარე პერიოდში კი, ჯარიმა ბრალდებულთა მხოლოდ 50%-ს (77-დან 39) დაეკისრა.

გარდა ამისა, მნიშვნელოვნად შემცირდა დაკისრებული ჯარიმების ოდენობები. მიმდინარე პერიოდში 39 საპროცესო შეთანხმება გაფორმდა ჯარიმის დაკისრებით, რამაც ჯამში სულ 128,500 ლარი შეადგინა (საშუალოდ, თითოეულ საპროცესო შეთანხმებაზე 3,295 ლარი). მონიტორინგის წინა პერიოდში 47 საპროცესო შეთანხმება გაფორმდა ჯარიმის დაკისრებით, რამაც სულ 474,000 ლარი შეადგინა (საშუალოდ, თითოეულ საპროცესო შეთანხმებაზე 9,115 ლარი). მიმდინარე მონიტორინგის პერიოდში ჯარიმების ოდენობა მერყეობდა 1000-დან 6000 ლარამდე. წინა პერიოდში კი, ჯარიმები მერყეობდა 500-დან 100,000 ლარამდე.

წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენება საპროცესო შეთანხმებებში გაიზარდა 1%-დან 7%-მდე.

იმ 71 საპროცესო შეთანხმების სხდომაზე, რომლებსაც საია ეს-ნრებოდა, კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვეთა. კერძოდ:

- ერთ შემთხვევაში, საპროცესო შეთანხმება არ დამტკიცდა, ვინაიდან ბრალდებულმა აღარ ცნო თავი დამნაშავედ, მოელოდა რა ნაკლებად მკაცრ სასჯელს ამნისტიის აქტის საფუძველზე.
- ერთ-ერთ სხდომაზე მოსამართლემ გადადო პროცესი, რათა შუამდგომლობას გასცნობოდა. საიას არ ჰქონდა შესაძლებლობა, დასწრებოდა შემდგომ სხდომას.

- კიდევ ერთ სხდომაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ სასჯელის სახედ გამოყენებულიყო საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა. ბრალდებული ეტლში იჯდა და მოსამართლე დაინტერესდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იყო თუ არა აღმოჩნდა, რომ ბრალდებული არ იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, შესაბამისად, მოსამართლემ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება.
- საპროცესო შეთანხმებით დასრულებულ ერთ საქმეში შეთანხმებული და იურიდიულად დამტკიცებული სასჯელი ძალიან არაპროპორციული იყო. ბრალდებულმა აღიარა ერთი ბოთლი არყის (16 ლარის ღირებულების) ქურდობა. დაკისრებული იყო თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით და ორი წლიანი პირობითი სასჯელი.

საპროცესო შეთანხმების გაფორმება გახმაურებულ საქმეებში არ მომხდარა.

პ. დაკვირვების შედეგები ცალკეული უფლების მიხედვით

I. მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპი

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის საქმის წარმოების ძირითადი პრინციპებია, რაც დადგენილია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 და 25-ე მუხლებით.

ამ პრინციპების თანახმად, მხარეებს აქვთ უფლება, წარმოადგინონ მტკიცებულებები და ისარგებლონ თანაბარი უფლებებით საქმის მსვლელობისას.⁴⁰ ამ უფლების დასაცავად, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას და მისცეს მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა, გამოიკვლიონ მტკიცებულებები. გარდა ამისა, მოსამართლე არ უნდა გასცდეს წარდგენილი ბრალდების ფარგლებს, არამედ უნდა შემოიზღუდოს მხარეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციებით.

მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის წარმოების პროცესში, სადაც ბრალდების მხარე შესაბამისი სახელმწიფო რესურსით და ძალაუფლებით სარგებლობს, ხოლო დაცვის მხარეს ასეთი უპირატესობა არ გააჩნია.

გამოვლენილი შედეგები:

საიას დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ მოსამართლეები უმეტესად მოქმედებდნენ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში და უზრუნველყოფნენ, რომ ყველა მხარეს ჰქონოდა თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი ინტერესების წარმოსადგენად.

უმეტეს შემთხვევაში, მოსამართლეები არ ერეოდნენ მოწმეთა დაკითხვაში, წარმატებით იცავდნენ წესრიგს სასამართლო დარბაზში და უზრუნველყოფნენ მხარეთა თანასწორობას.

⁴⁰ საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 42.6.

გამონაკლისი იყო ბაჩანა ახალიას გახმაურებული საქმე.⁴¹ ამ საქმეში 100-ზე მეტი მოწმე, რამდენიმე ბრალდებული და რამდენიმე ადვოკატი მონაწილეობდა. ბრალდებულები და მათი ადვოკატები სხვადასხვა სხდომაზე მოწმეებს უსვაძნენ ერთსა და იმავე, ხშირად არარელევანტურ კითხვებს. ამის გამო, დაკითხვის პროცესი არაგონივრულად ჭიანურდებოდა. გარდა ამისა, ბრალდებულები და მათი ადვოკატები იყვნენ ძალიან აგრესიულები, უყიროდნენ და ამცირებდნენ ბრალდების მხარის მოწმეებს. არც პროკურატურას და არც მოსამართლეს ბრალდებულებისა და მათი ადვოკატების ამ ქმედებების გამო, არ მიუღია შესაბამისი ზომები, მაგალითად, მოსამართლეს არ დაუკისრებია ჯარიმა რომელიმე მონაწილისთვის.

საია მიიჩნევს, რომ ახალიას საქმეში მოსამართლეს უნდა განესაზღვრა გონივრული დრო თითოეული ბრალდებულის მიერ მოწმისთვის შეკითხვების დასასმელად, რათა უზრუნველეყო საქმის გონივრულ დროში წარმართვა. გარდა ამისა, ბრალდებულებისა და მათი ადვოკატების აგრესიული ქცევის საპასუხოდ, მოსამართლეს მხარებისათვის შესაბამისი პროცედურული ინსტრუქციები უნდა მიეცა. მაგალითად, მას უნდა დაევალებინა პროკურორისათვის პოზიციის გამოთქმა დაცვის გამოსვლაზე. გარდა ამისა, პროკურატურას უნდა გაეპროტესტებინა დაცვის ქცევა, რათა უზრუნველეყო შეჯიბრებითობა და დაცვა მონაწილეების ღირსება.

იმავე საქმეში იყო საპირისპირო ქცევის შემთხვევებიც, როდესაც მოსამართლემ პროკურატურას მისცა პროცედურული ინსტრუქციები, რომელებიც ეწინააღმდეგებოდა საპროცესო კანონს. ერთ შემთხვევაში, მოსამართლემ განაცხადა – „თქვენ ეწინააღმდეგებით ყველაფერს და მოსმენა ჭიანურდება; შესაძლებელია, რომ პროცესტი დასაბუთებულია, მაგრამ მაინც.“

მონიტორინგმა ასევე გამოავლინა სასამართლოს არაერთგვაროვანი პრაქტიკა გამოძიების პროცესში მოპოვებული მტკაცებულებების სასამართლოს მიერ გამოკვლევის მიმართულებით. ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლო უფლებას აძლევდა მოწმეს, მოეხდინა გამოძიების სტადიაზე მიცემული ჩვენების ციტირება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში – არა. ამასთან, ერთ-ერთ გამაურებულ საქმეში სასამართლოს ჰქონდა განსხვავებული მიდ-

⁴¹ ბაჩანა (ბაზო) ახალია უკანასკნელ დრომდე იყო თავდაცვის მინისტრი და მანამდე სასჯელაღსრულების სისტემის ხელმძღვანელი.

გომა: ჯერ მისცა მოწმეს უფლება, მოეხდინა გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენების ციტირება, ხოლო შემდეგ – აღარ.

სხვა დასკვნები:

- არც ერთ ძირითად სხდომაზე მოსამართლე არ ყოფილა გამოხატულად ტენდენციური რომელიმე მხარის მიმართ. თუმცა, საიამ პირველი ნარდგენის ერთ სხდომაზე დააფიქსირა მოსამართლის მიერ უდანაშაულობის პრეზუმუციის და მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევა. აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის განხილვისას, მოსამართლემ ჰქონდა ბრალდებულს, რომელსაც ბრალი თაღლითობაში ედებოდა: „რატომ აკეთებ ამას? ჩვენ რა გარანტია გვაქვს, რომ თქვენ ამას კვლავ არ გააკეთებთ? თქვენ ერთხელ უკვე გაპატიის, ასეა ხომ?“ მოსამართლემ აშკარად დაუშვა, რომ ბრალდებული დამნაშავე იყო.
- 359 არსებითი განხილვის სხდომიდან, რომელსაც საიას მონიტორები ესწრებოდნენ, ოთხი დახურული სხდომა იყო. დარჩენილი 355 სხდომიდან 165-ში დაიკითხენ მოწმეები. ამ 165 საქმიდან 27-ში მოსამართლემ კითხვები დაუსვა მოწმებს. 27 საქმიდან მოსამართლემ საპროცესო მოთხოვნები დაარღვია მხოლოდ ერთი შემთხვევაში, როდესაც კითხვა დაუსვა მოწმეს მხარეთა თანხმობის გარეშე. წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, როდესაც მოსამართლეები ხშირად სვამდნენ შეკითხვებს პროცესუალური მოთხოვნების დარღვევით, შედეგები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

II. დაცვის უფლება

ბრალდებულის დაცვის უფლება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს გარანტის სისხლის სამართალწარმოების დროს. აღნიშული უფლება დაცულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლი მოითხოვს, რომ ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი, როდესაც დაცვის უფლება შესაძლოა შეილახოს, მაგალითად, როდესაც ბრალდებული არ ფლობს საქმისწარმოების ენას, მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე, ან არის ფიზიკურად ან ფსიქიკურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რაც ხელს უშლის მას, თავად დაიცვას საკუთარი ინტერესები.

დაცვის უფლების სრული რეალიზაციისთვის, დაცვის მხარეს უნდა მიეცეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა, მოამზადოს თავისი პოზიცია. ამასთან, ადვოკატმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი საშუალება საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესების დასაცავად.

გამოვლენილი შედეგები:

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ, ძირითადად, უზრუნველყოფილი იყო დაცვის უფლება და ადვოკატის მონაბრძობა კანონით განსაზღვრულ სავალდებულო შემთხვევებში.

გარდა ამისა, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც დაცვამ ითხოვა განხილვის გადადება იმისათვის, რომ უკეთ გასცნობოდა საქმის მასალებს და მომზადებულიყო, მოსამართლემ შუამდგომლობა დააქმაყოფილა. აღსანიშნავია, რომ ბრალდების მხარე ასეთ შუამდგომლობებს არ აპროტესტებდა.

საიას დამკვირვებლებმა დააფიქსირეს ერთი შემთხვევა, რომელმაც გამოავლინა პრაქტიკული და საკანონმდებლო ნაკლოვანებები. ახალიასა და სხვათა მიმართ არსებულ განმაურებულ საქმეშე ერთ-ერთი ადვოკატის სტაჟიორმა სხდომაზე მოწმეებს მნიშვნელოვანი შეკითხვები დაუსვა. იმავე საქმის ერთ-ერთ მომდევნო სხდომაზე იმავე მოსამართლემ სტაჟიორს დაცვის განხორციელებაში მონაწილეობა უკრძალა და სხდომიდან მოხსნა. თავის გადაწყვეტილებაში მოსამართლე აცხადებს, რომ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ადვოკატის სტაჟიორს უფლება არ აქვს, მონაწილეობა მიიღოს ბრალდებულის ინტერესების დაცვაში.

საკითხი პრობლემატურია ორივე თვალსაზრისით, როგორც ახალიას საქმესთან მიმართებით, ისე – ზოგადად. პირველ რიგში, სტაჟიორის განხილვაში მონაწილეობის სამართლებრივი შედეგი ბუნდოვანია (მაგალითად, არის თუ არა სტაჟიორის მიერ მიღებული მონაბრძოვანი). ზოგადად, სტაჟიორის მონაწილეობასთან დაკავშირებით ერთიანი პრაქტიკის არარსებობა პრობლემატური საკითხია. საჭიროა ამ პრობლემის გადასაჭრელად კანონმდებლობის შემუშავება და სასამართლოში ერთიანი პრაქტიკის დანერგვა.⁴²

⁴² „საიამ“ თბილისის საქალაქო სასამართლოან გამოითხოვა სტატისტიკა სტაჟიორების მონაწილეობის შესახებ; თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლომ გვიპასუხა, რომ იგი ასეთ სტატისტიკას არ აწარმოებს და ამ კითხვაზე ზუსტი

III. არასათანადო მოპყრობის აკრძალვა

არასათანადო მოპყრობა აკრძალულია საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. აკრძალვა უზრუნველყოფს წამებისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისაგან დაცვას.

ამ უფლების რეალიზებისთვის, ბრალდებულმა უნდა იცოდეს მისი უფლების შესახებ. ასევე, უნდა იცოდეს, რომ აქვს უფლება, არასათანადო მოპყრობის გამო, სარჩელი შეიტანოს მიუკერძოებელ სასამართლოში. ლოგიკურად, ბრალდებულის ეს უფლებები სასამართლოს აკისრებს ვალდებულებას, აცნობოს მას ამ უფლებების შესახებ. აღნიშნული ვალდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ბრალდებული პატიმრობაშია და სახელმწიფო ფიზიკურად სრულად აკონტროლებს მას.

საიამ, მონიტორინგის შედეგად, გამოვლინა ამ უფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მოსამართლე უფლებამოსილია, მხოლოდ განუმარტოს ბრალდებულს მისი უფლებები არასათანადო მოპყრობის სანინააღმდეგოდ და მოისმინოს არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების შესახებ. კანონი არ ადგენს პროცედურას, რომლის მეშვეობითაც, მოსამართლეს შეუძლია ქმედითი ზომების მიღება, როდესაც სახეზეა სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობა. ნაცვლად ამისა, მოსამართლე უფლებამოსილია, მხოლოდ ჰერიტენის ბრალდებულს, ჰერიტენის თუ არა ადგილი მის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტს.

გამოვლენილი შედეგები:

მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით, მოსამართლემ უფრო მეტ შემთხვევებში განუმარტა ბრალდებულს უფლება, საჩივრით მიერთა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში:

- პირველი წარდგენის სხდომებზე მოსამართლემ 99 მოს-


პასუხის გასაცემად საჭიროა რამდენიმე ათასი საქმის გადამოწმება, რასაც მნიშვნელოვანი დრო და ადმინისტრაციული რესურსი სჭირდება; იქვე აღნიშნულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ასეთი რესურსები არ გააჩნია; თბილისის საქალაქო სასამართლოს პასუხი სის განცხადებაზე # 14553-1.

მენიდან მხოლოდ 4 შემთხვევაში (4%) არ განუმარტა ბრალ-დებულს უფლება, საჩივრით მიემართა სავარაუდო არა-სათანადო მოპყრობის შესახებ და არ გამოარკვია, ბრალ-დებული დაექვემდებარა თუ არა არასათანადო მოპყრობას. გასულ საანგარიშო პერიოდში მოსამართლემ ბრალდებულს ეს უფლებები არ განუმარტა 73 მოსმენიდან 18 შემთხვევაში (24%).

- მიმდინარე მონიტორინგის პერიოდში, სასამართლომ არ გა-მოარკვია, საპროცესო შეთანხმება ხომ არ იქნა მიღწეული იძულების, ზემოქმედების, მოტყუებით ან სხვა ნებისმიერი უკანონო დაპირებით 69-დან 10 შემთხვევაში (14%). გასულ საანგარიშო პერიოდში, მოსამართლეებმა ეს უფლება არ აუხ-სნა ბრალდებულს 69 სხდომიდან 12-ის განმავლობაში (17%).
- საიას დაკვირვებით, მონიტორინგის პერიოდში გაფორმებუ-ლი საპროცესო შეთანხმებების მხოლოდ 23%-ში (69-დან 16) არ აუხსნა მოსამართლემ ბრალდებულებს, რომ მათ მიერ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრის გაცხადება არ შეუშლიდა ხელს კანონიერად გაფორმებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას. ეს მაჩვენებელი წინა პერიოდისათვის (ივლისი-დეკემბერი, 2012) იყო 33%, მეორე ანგარიშში (იანვარი-მარტი, 2012) – 25%, ხოლო პირველ ანგა-რიშში (ოქტომბერი-დეკემბერი, 2011) – 32%.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მონიტორინგის მთელი პე-რიოდის შედეგებს:

დიაგრამა №7



- შემთხვევების იმ 30%-ში, როდესაც საპროცესო შეთანხმება იქნა მიღწეული (69-დან 21), მოსამართლემ არ აუხსნა ბრალ-დებულს, რომ თუ საპროცესო შეთანხმება არ დამტკიცდებოდა, ინფორმაცია, რომელიც გამოყვინდა საპროცესო შეთანხმების დადგენისას, არ იქნებოდა გამოყენებული მათ წინააღმდეგ. ეს მნიშვნელოვანი წინსვლაა წინა პერიოდთან შედარებით, როდესაც მოსამართლემ ვერ შეძლო ამის გან-მარტება ბრალდებულისთვის 69-დან 46 შემთხვევაში (67%).

მოსამართლის ფორმალური როლი არასათანადო მოპყრობის გა-მოძიების პროცესში და კანონის ხარვეზი ეფექტური გამოძიების მოთხოვნის ნაწილში აშკარად გამოყვინდა შემდეგ ორი შემთხ-ვევაში:

- პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებული ამტკიცებდა, რომ პოლიციის თანამშრომელი მას ფიზიკურად გაუსწორდა. მოსამართლემ მხოლოდ განუმარტა, რომ მას ჰქონდა სა-ჩივრის შეტანის უფლება ბოლიციელის წინააღმდეგ.
- მეორეშემთხვევაში, ბრალდებულიაცხადებდა, რომ პოლიცი-ის თანამშრომელებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და დაახლოებით 30-მა სხვა პირმა იგი დაამკირა. მოსამართლემ ჰკითხს პროკურორს, რაიმე ზომა თუ გაატარეს ამასთან და-კავშირებით. პროკურორმა უპასუხა, რომ მან უკვე მოახსე-ნა ამის შესახებ ზემდგომ პროკურორს. მოსამართლეს რაიმე სხვა ზომა არ მიუღია.

IV. მოტივირებული (დასაბუთებული) გადაწყვეტილების უფლება

სამართლიანი სასამართლოს უფლება ბრალდებულის საერ-თაშორისოდ აღიარებული უფლებაა, რომელიც ასევე მოიცავს სასამართლოს მიერ მოტივირებული გადაწყვეტილების მიღების უფლებას.⁴³

გადაწყვეტილებების მიღების დასაბუთებულობის შესაფასე-ბლად, საია დააკვირდა გამოძიების პროცესში განხორციელ-ებული ჩხრეებისა და ამოლების დაკანონების პროცესებს, რომ-ლებიც ჩატარდა მოსამართლის წინასწარი ნებართვის გარეშე და გამართლებული იყო გადაუდებელი აუცილებლობის მოტივ-

⁴³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 194.2.

ით. საია მიიჩნევს, რომ, ზოგადად, ამ საკითხებს ცალკე კვლევა ესაჭიროება, რაც სცილდება წინამდებარე ანგარიშის მიზნებს. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები საშუალებას იძლევა, დანახულ იქნეს ამ მიმართულებით საქართველოს სასამართლოებში არსებული სურათი.

ჩხრეკა და ამოღება არის საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს პირად სფეროში ჩაურევლობის უფლებას; ამიტომ კანონი უზრუნველყოფს სასამართლო კონტროლს ჩხრეკისა და ამოღებაზე. ყველა შუამდგომლობა ჩხრეკისა და ამოღების შესახებ უნდა განიხილოს სასამართლომ და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე და 120-ე მუხლები მკაცრად განსაზღვრავს ორ წინაპირობას ჩხრეკისა და ამოღებისათვის: დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჩხრეკის შედეგად მოპოვებული იქნება დანაშაულის მტკიცებულება და სასამართლოს ნებართვა. ჩხრეკა და ამოღება სასამართლოს ნებართვის გარეშე დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა. მოსამართლემ შემდეგ ან უნდა დააკანონოს ან გააუქმოს ჩხრეკის და ამოღების შედეგები.

გამოვლენილი შედეგები:

როგორც აღკვეთის ღონისძიებების შესახებ თავშია აღნიშნული, სასამართლო ხშირად არღვევდა ბრალდებულის უფლებას, მის მიმართ მიღებული ყოფილიყო მოტივირებული გადაწყვეტილება, როცა განიხილავდა აღკვეთის ღონისძიების საკითხს. საიამ ასევე დააფიქსირა მოტივირებული (დასაბუთებული) გადაწყვეტილების უფლების აშკარა დარღვევა ჩხრეკასა და ამოღებასთან დაკავშირებით.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, თითქმის ყველა საქმეში, რომელსაც საია აკვირდებოდა, ჩხრეკა და ამოღება ჩატარებული იყო გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში, მოსამართლის შემდგომი დაკანონებით. კერძოდ, ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების 30 შემთხვევიდან, რომელიც საიამ დააფიქსირა, მხოლოდ ერთ შემთხვევაში ღონისძიება ჩატარდა სასამართლოს ნებართვით, დანარჩენ 29 შემთხვევაში კი, ღონისძიების დაკანონება სასამართლოს მიერ მოგვიანებით განხორციელდა.

საიამ ვერ შეძლო გაერკვია, იყო თუ არა ჩხრეკისა და ამოღების

ფაქტის შემდგომი დაკანონება დასაბუთებული იმის გამო, რომ ისინი არ განიხილება ზეპირი მოსმენების შესაბამის სხდომებზე. თუმცა, ის ფაქტი, რომ 97% მხოლოდ ჩატარების შემდეგ დაკანონდა, წარმოშობს ეჭვს სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოს მიერ იმ ვალდებულებების დაუცველობის შესახებ, რომლის მიხედვითაც, მათ არ უნდა ჩატარონ ან დააკანონონ საგამოძიებო მოქმედება, რომელიც არ არის სათანადოდ არგუმენტირებული და გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე ტარდება.

მოტივირებული გადაწყვეტილების პრობლემა გამოვლინდა სხვა შემთხვევაშიც, რომელიც არ უკავშირდება ჩხრეკასა და ამოღბას. მაგალითად, სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საიამ აღმოაჩინა, რომ გადაწყვეტილება შემთხვევით შეიცავდა სხვა მოსამართლის მდივნის სახელს. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ მოსამართლემ გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენა შაბლონი.

დაკვირვებებმა ასევე აჩვენა, რომ სასამართლოს მიერ მოტივირებული გადაწყვეტილების მიღებას ზოგჯერ ხელს უშლის ხარვეზები პროცესების აუდიო ჩანაწერებში, რაც აუცილებელია დასაბუთებული საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. მაგალითად, გახმაურებულ შემთხვევაში – ახალაიას საქმე – ბრალდებულის ადვოკატის შუამდგომლობამ მოწმის ჩვენების ჩანაწერის გამოქვეწების შესახებ გამოავლინა ის, რომ ჩახანძერის ნაწილი უხარისხო იყო და მხოლოდ ფრაგმენტული ბგერები ისმოდა. შედეგად, მოსამართლე იძულებული იყო, დაყრდნობოდა მის მეხსიერებას მოწმის ჩვენების შესახებ და მხარეთა გამოსვლას სხდომის იმ ნაწილში. იმის გამო, რომ ძირითად სხდომაზე მონაწილეობდა რამდენიმე ბრალდებული და ათობით მოწმე, ადეკვატური ჩანაწერების არარსებობა გაართულებდა სასამართლოს მიერ მოტივირებული გადაწყვეტილების მიღებას.

V. საჯარო განხილვის უფლება

როგორც ზემოთ აღინიშნა, საჯარო განხილვის უფლება ბრალდებულის და საზოგადოების მნიშვნელოვანი უფლებაა და გარანტირებულია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ამ უფლების სრულყოფილი რეალიზაციისათვის, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს საქმის წარმოების იმგვარად განხორციელება, რომ სხდომაზე დაინტერესებული პირის დასწრების შემთხვევაში, მას არ შეექმნას სხდომაზე მიმდინარე პროცესში

გარკვევის პრობლემა. ეს ასევე ნიშნავს დასწრების თანაბარი უფლების უზრუნველყოფას ყველასთვის. გარდა ამისა, სასამართლოს განაჩენი უნდა გამოცხადდეს საჯაროდ, სასჯელის ზომის, შესაბამისი კანონის და ბრალდებულის მიერ მისი გასა-ჩივრების უფლების მითითებით.⁴⁴

